ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 28 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 25 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა 2021 წლის შემობრძანება, წარმატებები უსურვა პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში და მადლობა გადაუხადა მათ იმ წვლილისთვის, რაც მათ შეაქვთ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ 2021 წლის საკრებულოს პირველი სხდომა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მოსმენის შემდეგ გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

5. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე, მ. ლემონჯარია, ა. ქირია, გ. ქამანაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და განმარტა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მომზადებისას გაირკვა, რომ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე გამოქვეყნებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილება არ შეესაბამება საკრებულოს მიერ 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ საკრებულოს დადგენილების პროექტს, კერძოდ: ვებგვერდზე განთავსებულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 16 ნოემბრის №50-502032111 წერილით წარმოდგენილი პროექტი (ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველადი ვერსია), ნაცვლად 2020 წლის 21 დეკემბრის №50-50203562 წერილით წარმოდგენილი საბოლოო ვერსიისა. ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების 2 პროექტი. დადგენილების პირველი პროექტით ცვლილება ხორციელდება საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში და სწორდება ტექნიკური ხარვეზი - საბიუჯეტო მაჩვენებლები შესაბამისობაში მოდის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე განხილული პროექტით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან. დადგენილების მეორე პროექტით კი ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ხორციელდება მორიგი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან

რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსავლები 3007,6 ათასი ლარით „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიემართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. 3093,9 ათასი ლარის ასახვა ხდება არსებული ნაშთიდან და მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინასებაზე" მიიმართება 105,0 ათასი ლარი; 2908,3 ათასი ლარი - პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებაზე, აქედან, „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" – 1738,5 ათასი ლარი, „ხიდების, ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია და შენახვა" – 87,9 ათასი ლარი, „გარე განათება" – 105,0 ათასი ლარი, „წყლის სისტემების რეაბილიტაცია" – 132,0 ათასი ლარი, „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" – 629,0 ათასი ლარი, „სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" – 60,0 ათასი ლარი, „მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების მართვა და ექსპლოატაცია" – 15,0 ათასი ლარი; 2,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „დასუფთავება და გარემოს დაცვა" ასიგნებებზე; პრიორიტეტი „განათლება" ასიგნებებზე - 45,1 ათასი ლარი; პრიორიტეტი „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე - 11,8 ათასი ლარი; 21,7 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 3007,6 ათასი ლარით და შეადგინა 13076.6 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე, კ. ლატარია, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების" მიერ შეძენილი ტრაქტორი იყო თუ არა ექსპლოატაციაში და ხორციელდებოდა თუ არა მისი გამოყენება?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების" მიერ შეძენილი ტრაქტორი გამოიყენება სტიქიური ან სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სოფლებში დაზიანებულია წყალსადენი მილები და სასწრაფოდ საჭიროებს შეცვლას, რაც არ ხორციელდება, მითუმეტეს ტექნიკა ჰყავთ. მისი განმარტებით სპეცტექნიკის (ტრაქტორის) შეძენა ამ ეტაპისთვის არ იყო მართებული.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისთვის" ტრაქტორის შეძენას უჭერს მხარს, რადგან საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გამოიყენებს სტიქიური შემთხვევების დროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე, თ. გულუა, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N2 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესაბამისად მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალური განწერა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველკვარტალურად განაწილებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის

(გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე, თ. გულუა, გ. ქაძანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც განაცხადა, რომ საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის შვებულებაში ყოფნის გამო, კომისიის დასკვნას წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი და სთხოვა შ. ჭილაიას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

შ. ჭილაია - საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროექტების ინიცირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც ამ ეტაპზე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე, თ. გულუა, ტ. ალექსანდრია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

5. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში 2020 წელს შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხოლო „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ამავე სამსახურს 2021 წლიდან ასევე დაემატა საშტატო ერთეული - სოციალური მუშაკი. ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დელეგირებული ფუნქციების განხორციელების პროცესში საჭირო ხდება შესაბამისი შემთხვევის ადგილებზე სამსახურის მოსამსახურეთა გასვლა, რაც საჭიროებს დამატებით ხარჯებს საწვავის სახით. საწვავით უზრუნველყოფას ასევე საჭიროებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მერიის სხვა სამსახურების მსგავსად, რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა შესაბამისი სამსახურებისთვის საწვავის ლიმიტების დაწესება/გაზრდა. მერიის სამსახურებისა და მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ლიმიტებისთვის ასევე საჭირო ხდება ინტერნეტით სარგებლობისთვის განსაზღვრული ლიმიტის დამატება საინფორმაციო ტექნოლოგიებით მომსახურების საკითხებში დასაქმებული მოსამსახურისთვის (IT სპეციალისტისთვის), რასაც საჭიროებს კომპიუტერებში კომპიუტერული პროგრამების ჩაწერისა და განახლებების პროცესში, ამჟამად არსებულ ქსელს გარეთ, თავისუფალი პორტის (ქსელში არსებული შეზღუდვების გარეშე, თავისუფალი ინტერნეტის) სახით. გარდა აღნიშნულისა, არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, თვითიზოლაციაში მყოფი მოხელეების დისტანციურ რეჟიმში სრულყოფილი მუშაობისთვის უკანასკნელ თვეებში საჭირო შეიქნა მათი ინტერნეტით უზრუნველყოფა, რაც ცალკეულ შემთხვევებში დაწესებული ლიმიტების

დროებითი გაზრდის აუცილებლობას იწვევს. ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც: 1. 100 ლიტრით იზრდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისთვის განსაზღვრული საწვავის (ბენზინის) ლიმიტი; 2. 50 ლიტრი საწვავის (ბენზინის) ლიმიტი უწესდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს; 3. 20 ლარის ლიმიტი უწესდება ინტერნეტისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის საკითხებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს; 4. თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფ მოსამსახურეთა დისტანციურ რეჟიმში მუშაობისას ინტერნეტით უზრუნველყოფისთვის წესდება 10 ლარის დამატებითი ლიმიტი, რაც შესაბამისი შემთხვევებისას, შესაბამისი ვადით, შესაბამის მოსამსახურეს დაემატება აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, მერის გადაწყვეტილებით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, კ. მიქაბერიძე, თ. გულუა, ტ. ალექსანდრია, კ. გოქაძე, კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე _____ ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. მერაბ ფილიპია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. აბელი ქირია
10. ტარიელ ალექსანდრია
11. თენგიზ აბაკელია
12. თემურ გულუა
13. დავით ცინაძე
14. ავთანდილ ხუნჯუა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქამანაია
19. იგორ გოგოლაძე
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცლავა
23. გოჩა ჯობავა
24. რამინ ხილაძე
25. კოსტანტინე ნასარაია